დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

ნინო ფაილოძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ხათუნა დუგლაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თინათინ ნანობაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ინგა გოგალაძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
სალომე არაბიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მორის გუმბარიძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკოლოზ ჩუბინიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ირინე შარაბიძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ბერიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე მაკარიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245429282

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ.№13
საფოსტო ინდექსი	6004
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	9school.edu.ge; skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	batumi9@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0422240483

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის MES 8 25 0000449658 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19-20 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №13 (1 შენობა-ნაგებობა, 2 ფლიგელი)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №13 (1 შენობა-ნაგებობა, 2 ფლიგელი)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №13 (1 შენობა-ნაგებობა, 2 ფლიგელი)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა, დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების

ადგილების ზღვრული რაოდენობა		ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რამდენიმე წელია სკოლაში ფუნქციონირებს ფიზიკის კლუბი „ევრიკა“. 2022-23 წლეებში გამოცხადდა „ახალგაზრდა ტექნოლოგიური კლუბებს“ შორის კონკურსი, კლუბმა მოიპოვა გამარჯვება და ორგანიზაციის „ევროკავშირი საქართველოსთვის“ დაფინანსებითა და მხარდაჭერით ილიას სახელმჭიფო უნივერსიტეტის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), ICT კლასტერის და ინოვაციური განათლების ფონდის (IEF) ერთობლივი თანამშრომლობით მოსწავლეებმა გაიარეს უფასო კურსი „ პროგრამირება პითონზე“ და „გრაფიკული დიზაინი“. გასულ წელს კლუბმა მიიღო მონაწილეობა აჭარის განათლების სმინისტროს მიერ ახალგაზრდა კლუბების განვითარების მხარდასაჭერად გამოცხადებულ კონკურსში, სდაც კლუბმა წარადგინა პროექტი, „ოპტიკური ილუზიები“, გაიმარჯვა და მოიპოვა 1600 ლარიანი გრანტი. შეიძინეს ტელესკოპი, პლაზმური ბურთი, 3 ცალი არდუინოს ნაკრები, მულტიმეტრი და ოპტიკური პოსტერები.
2025 წლის აპრილში აჭარის განათლების სამინისტრომ კვლავ გამოაცხადა იგივე კონკურსი, კლუბმა წარადგინა პროექტი „თამაშით მეცნიერებისაკენ“, კვლავ მოიპპოვა გამარჯვება და მიიღო 2500 ლარიანი გრანტი, რითაც შეიძინეს T0X-ის სახალისო მეცნიერული სათამაშოები, სხვადასხვა სახის კონტრუქტორები და ელექტროფორული მანქანა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2552	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესი სსსს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლის შენობაში არსებული სსსმ მოსწავლეთა სველი წერტილები არ არის იზოლირებული და დახურული, არ აქვს კარი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, მოაწესრიგოს სსსმ მოსწავლეთა სველი წერტილები - გამოყოს დანარჩენი სივრცისგან კარით.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურები*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	სკოლას არ აქვს თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია ***ქიმიაში***, გამწოვი კარადა, მინის ფარი სადემონსტრაციო ცდების/ექსპერიმენტების სივრცის გამოსაყოფად. ქიმიის კაბინეტში არსებული რესურსების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ქიმიური

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	რეაგენტები, მოძველებულია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების ზომები არ არის სათანადოდ დაცული ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში - 2025 წლის 31 დეკემბრამდე - ქიმიის კაბინეტისათვის შეიძინოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სადემონსტრაციო მაგიდა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი №...		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი № 3.1.2.1.	**პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და**	სასურველია, განახლდეს სკოლის შინაგანაწესი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ

	დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	ბრძანება რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება.
ინდიკატორი №3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ ძირითად შენობაში მდებარე სამედიცინო კაბინეტისათვის შეიძინოს შირმა და კარადა საკეტებით.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**სახელმწიფო ენა** სასურველია, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს მოსწავლეთა რეალურ აკადემიურ შესაძლებლობებს და ასაკობრივ თავისებურებებს. სასურველია დავალებათა პირობები დაიწეროს მკაფიოდ, ცხადად და თითოეული მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ამ დავალებების პრაქტიკული რეალიზება.
ინდიკატორი N 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების**	**ინფორმაციული ტექნოლოგიები** სასურველია პირველი კლასის კურიკულუმი არ იყოს გადატვირთული და პირველ კასში ორიენტირი გავაკეთოს ბუკში არსებულ სასწავლო მასალაზე.

	გზას	
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** მეხუთე კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში, სასურველია სამიზნე ცნება: „დრო“ -ც გადაინომროს და გამოჩნდეს, ექვსივე სამიზნე ცნება. ხოლო ამავე საგნის მეექვსე კლასის კურიკულუმში, თემებში: „კახეთი“ და „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“ სამიზნე ცნება: „სახელმწიფო“-ც დამუშავდეს.
ინდიკატორი N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საბაზო საფეხურის „გეოგრაფიის“ კურიკულუმში, სასურველია დაზუსტებით მიეთითოს, თუ რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. მეშვიდე კლასის კურიკულუმში, პირველი თემის ფარგლებში, დარჩენილია სამიზნე ცნება: „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“ და სასურველია, ამოიშალოს. საბაზო საფეხურის საგან „ისტორიის“ კურიკულუმშიც (მე-7, მე-8, მე-9კლასები) დასაზუსტებელია, თუ რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. ამავე საგნის, მეშვიდე კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში: „ანტიკური და გვიანანტიკური ხანა“, სასურველია, ჩაემატოს სამიზნე ცნება: „დრო“. ხოლო მერვე კლასის „ისტორიის“ კურიკულუმში, სასურველია, გასწორდეს, პირველი თემის სახელწოდება.
ინდიკატორი №2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** საშუალო საფეხურის „გეოგრაფიის“ კურიკულუმში, სასურველია, ჩასწორდეს მეთერთმეტე კლასის პირველ თემის სათაური, ხოლო შემოქმედებითი ბუნების დავალებებში, სასურველია, მიეთითოს, თუ რა იქნებ საბოლოო პროდუქტი. ამავე საგნის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში, სასურველია, მეორე სავალდებულო თემის სახელწოდებაში ჩაემატოს „გლობალური“. საშუალო საფეხურის საგან „ისტორიის“ კურიკულუმში, სასურველია, ჩასწორდეს მეორე თემის სახელწოდება და ასევე სასურველია, მეორე და მესამე თემის ფარგლებში, დაემატოს

		დასამუშავებელ სამიზნე ცნებებს „ისტორიული წყარო“. „საქართველოს ისტორიის“ მეათე კლასის კურიკულუმში, პირველი თემის სახელწოდება სასურველია ჩასწორდეს, სტანდარტის შესაბამისად. საგან „მოქალაქეობის“ მეათე კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში სასურველია ჩაემატოს, სამიზნე ცნება: „სამოქალაქო მონაწილეობა“.
ინდიკატორი №2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**უცხო ენა** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელებას თუ სრულად არ აპირებენ უცხოური ენების მასწავლებლები დატოვონ ის დავალებები რის განხორციელებასაც გეგმავენ. წარმოდგენილი დავალებები არის ძალიან ბევრი და ეჭვს ბადებს რამდენად რეალისტურია მათი განხორციელება.
ინდიკატორი №2.1.1.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**დაწყებითი** სასურველია, მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავოთ ახალი დავალებები და აქტივობები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა არ იყო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შედგენილი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №1.2.1.3 დაკმაყოფილებულია და სრულად შესაბამისი.**

2. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, 2024-2025 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში არ ჩანდა სტრატეგიული მიზნები, გაწერილი იყო ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი №1.2.1.4 დაკმაყოფილებულია და სრულად შესაბამისი.**

3. ვიზიტის დროს სკოლის შენობაში არსებული სსსმ მოსწავლეთა სველი წერტილები არ იყო იზოლირებული და დახურული, გამოყოფილი დანარჩენი სივრცისგან 2025 წლის 31 დეკემბრამდე უნდა გამოყოს დანარჩენი სივრცისგან. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ აღნიშნა, რომ დანარჩენი სივრცისგან სველი წერტილების გამოყოფის საბოლოო ვადა იქნება 2025 წლის 31 დეკემბერი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №3.5.1.4 ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად და გასცა რეკომენდაცია:** სკოლამ 2025 წლის 31 დეკემბრამდე სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი სველი წერტილები გამოყოს დანარჩენი სივრცისგან ისე, რომ ისიც იყოს პრივატული.

4. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია **ქიმიაში**, გამწოვი კარადა, მინის ფარი სადემონსტრაციო ცდების/ექსპერიმენტების სივრცის გამოსაყოფად. ქიმიის კაბინეტში არსებული რესურსების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ქიმიური რეაგენტები, მოძველებული იყო, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების ზომები არ არის სათანადოდ დაცული ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად. სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მიმართა ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან საშუამდგომლოდ. გარდა ამისა, გააფორმა ხელშეკრულება ქიმიის კაბინეტში სადემონსტრაციო მაგიდის შესაძენად შპს ვა-ნი-სთან.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა **ინდიკატორი №2.2.2.3. ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად და გასცა რეკომენდაცია:**
2025 წლის 31 დეკემბრამდე სკოლამ უნდა მოაწყოს ქიმიის კაბინეტში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია:

ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების დანერგვით სკოლა მოსწავლეებს განუვითარებს ისეთ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლებული, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეძლებენ ცვალებად სამყაროში ადაპტირებას, დაეხმარება მათ რეალურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში.

სკოლის ხედვა:

სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა იქნება მუდმივ განვიათარებაზე ორიენტირებული სკოლა. სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელს შეუწყობს მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური თაობების აღზრდას. მისცემს მოსწავლეებს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შესაძლებლობას. დაეხმარება მათ დამოუკიდებელი ცხოვრების, სირთულეების გადალახვის უნარების გამომუშავებაში.

სკოლის ღირებულებები:

უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო, სადაც წახალისებულია მოსწავლეებისა და მასწავლებელების ინიციატივა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, ემპათია, ურთიერთპატივისცემა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ცოდნასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც უზრუნველყოფს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დახვეწა-გაუმჯობესებას, არგუმენტირებული მსჯელობის, სიახლეების ძიების, პრობლემების ანალიზისა და გადაჭერის უნარების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიასა და ხედვაში ჩანს სკოლის როლი სასკოლო საზოგადობის უსფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნაში; სკოლა იქნება თანამშრომლობითი სასკოლო კულტურის

მატარებელი, დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის ცენტრალური ფასეულობა იქნება მოსწავლე. ამასთან, სკოლა იზრუნებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: დირექცია, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, სხვა თანამშრომლები. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება მისიის გადახედვითა და მისი ფორმულირებით. ინტერვიუთი გამოვლინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა ჩაატარა ზეპირი გამოკითხვა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ და შედგა მისიისა და ღირებულებების დოკუმენტის პროექტი, რომელიც განიხილეს სკოლის თანამშრომელთა საერთო კრებაზე, სადაც ამონაწილეებმა აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

თანამშრომელთა საერთო კრებას ესწრებოდნენ დირექციის წევრები, მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ტექნიკური პერსონალი (სულ 128 წევრი). საერთო კრებაზე განხილული მისია და ხედვა თანამშრომლებმა მიიღეს და გაიზიარეს. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები დამრიგებლებმა გააცნეს სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებს. დამრიგებლებმა ასევე ჩაატარეს სადამრიგებლო კლასებში მშობელთა კრებები, რომლებზეც მშობლებს გააცნეს სკოლის მისია და ხედვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია პლაკატის სახით ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებში: სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში. სკოლის მისია და ხედვა ატვირთულია ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი
საკლასო კრებების ოქმები
მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია დაგეგვასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, დაგეგმვის პროცესის ფაზები, მონიორინგისა და შეფასების პროცესი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევებისა და გარემოს ანალიზს, ასევე შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო

სტანდარტებს, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლაში შემუშავებულია და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია სსიპ - ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2030 წლები), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას.
   გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და წლების მიხედვით გაწერილ მიზნების შესაბამის ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს.
   სტრატეგიული გეგმა მოიცავს 6 სტრატეგიულ მიმართულებას:
   ა) ინსტუტიციური განვითარება
   ბ) სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება
   გ) სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება
   დ) ადამიანური რესურსის მართვა
   ე) შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება
   ვ) ციფრული განვითარება
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი 2024-2025 სამოქმედო გეგმა, რომელიც არ არის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შედგენილი. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამჟამად მიმდინარეობს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა. სკოლას ვიზიტის დროს ჰქონდა გეგმის პროექტი.
   არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   2024-2025 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, არ ჩანდა სტრატეგიული მიზნები, გაწერილი იყო ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია

სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები და ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სამეურვე საბჭოს ოქმები სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებაზე
ერთწლიანი გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტის მერვე და მეცხრე მუხლები მოიცავს გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წლის ბოლოს. აგროვებს მონაცემებს, აანალიზებს მათ და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების საჭიროებას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
   2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.
   3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო
   4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას ჰყავს დირექტორი, 2 მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, 5 სპეცმასწავლებელი და 123 საგნის მასწავლებელი, 2 სკოლის ექთანი, 11 დამლაგებელი, 1 ცეცეხლფარეში, 3 დარაჯი, 1 ფსიქოლოგი, 1 მეტყველების და ენის სპეციალისტი, 1 მუშა, 10 სსსმ მოსწავლის ასისტენტი. მათი ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და სხვა სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსის შერჩევა-დასაქმებისა და გათავისუფლების საკითხებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თანამშრომლის შეფასება.

   დოკუმენტში გათვალისწინებულია მინისტრის 2015 წლის 20 თებერვლის №68 ბრძანება ,,მასწავლებელის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“.

   რჩევა: სასურველია განახლდეს სკოლის შინაგანაწესი და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ ბრძანება რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი და საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც იკვეთება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, კერძოდ: სკოლის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მიხედვით, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს დირექტორი აღნიშნულის შესახებ, მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდისა და შესაბამისი მიზეზის შესახებ.

ასევე, გადაუდებელი აუცილებლობისას (ჯანმრთელობის მდგომარეობის/ოჯახური პირობების/სხვა ობიექტური გარემოებების გამო) სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია შესაძლებლობისთანავე აცნობოს დირექტორს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების მიზეზი და პერიოდი.

ხოლო საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მასწავლებლის ან სხვა თანამშრომლის მიერ თავისი მოვალეობის ვერშესრულების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლების საკითხი რეგულირდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ როგორც კი გაჩნდება მასწავლებლის ჩანაცვლების საჭიროების საკითხი, მაშინვე ხდება იმდღევანდელი საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება: ან ხდება გაკვეთილების გადაადგილება ან სხვა, თავისუფალი მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე შესვლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ყველა პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1]-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში, რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი პოზიციებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, დარაჯი, დამლაგებელი, მუშა, ცეცხლფარეში, მეეზოვე.

სკოლას ჰყავს 128 საგნის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მასწავლებელი და 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლას ჰყავს 2 ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი 1.2.-ის თანახმად, თუ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 800 და მეტია, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჩანაცვლდეს ექთნით. მეტია-დან 100-მდეა, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. ამავე ბრძანების მიხედვით, ექთანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული ან უმაღლესი განათლება. ამდენად, სკოლის სამედიცინო პერსონალი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა წლების განმავლობაში ექიმის ვაკანსიაზე კონკურსის მასალები, თუმცა, კადრის არარსებობის გამო, სკოლას საშტატო განრიგით დაუმტკიცდა 2 ექთნის შტატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის შემუშავების რეგულაცია, ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. 22-ე-23-ე მუხლებში აღნიშნულია, წახალისების ფორმების და წახალისების გამოყენების წესი, კერძოდ:

პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №01-03/40 ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 14 მაისის №01-03/43 ბრძანება სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის №4 ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბრის 01-05/230 ბრძანება თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი და ყველა კათედრის მასწავლებლები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წინა წლის ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ხელს უწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. 2025 წელს სკოლის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში, კერძოდ: საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა და დირექტორის მოადგილემ გაიარეს რამდენიმე მოდულისგან შემდგარი სასწავლო კურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესი. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის მიღებისა და ადაპტაციის პროცესები დროითი მონაკვეთებისა და შესაბამის პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის 22-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. სკოლა ასევე ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს,

რაც გამოჩნდა დირექტორის მოადგილის, საქმისმწარმოებლისა და ბიბლიოთეკარის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობით. მნიშვნელოვანია, რომ კათედრის დონეზე ხდება მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერა. მასწავლებლებს ასევე დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგებსა და ვებინარებზე შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესის შესახებ

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის №4 ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯაო სკოლის დირექტორის ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშავებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის II თავი ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის წესს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან: ა) სასწავლო პროცესთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება. ბ) პროცესებების/კურიკულუმების შემოწმების შედეგების სამოქმედო გეგმის შედგენა, გ) შემოწმების განხორციელება, დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები: მმართველობითს მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადს: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაცია სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი. დოკუმენტში გაწერილია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, განხილვის ვადებია, საჩივრის ტიპები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, ,,საჩივრის განხილვის პროცედურა“, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,საჩივრის განხილვის პროცედურის“ შესახებ
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და მასალებით დადგინდა, სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელს. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის პროცესების სისწრაფეს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე საკუთარი გვერდით და სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. ყველა ორგანო და რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს გადაწყვეტილებებს. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სსიპ-ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით, ფიზიკური უსაფრთხოებისათვის სკოლაში მანდატურის სამსახურიდან გამოყოფილია 5 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, კონტროლდება დერეფნები, სკოლის შემოსასვლელები და გასასვლელები 23 შიდა და გარე კამერის (ვიდეოთვალის) საშუალებით.

სკოლას საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული აქვს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლოატაციისათვის.

რაც შეეხება **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ,** სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე ყველა სართულზე. ამასთან, სკოლას 2025 წლის 26 მარტს გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლაში არის ორი სამედიცინო კაბინეტი. ორივე კაბინეტში განთავსებულია სველი წერტილი, ხოლო ერთი სრულად აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ ძირითად შენობაში მდებარე სამედიცინო კაბინეტისათვის შეიძინოს შირმა და კარადა საკეტებით.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე მანდატურებთან ერთად გაკვეთილების მიმდინარეობისას დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებელები. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი-დირექტორის მოადგილე. სკოლაში გაკეთებულია თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, სკოლის ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებლები და მათი ასისტენტები, საგნის მასწავლებლები, ძირითადად კი დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 11 დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დოკუმენტი. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრობულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგემელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანხმობის წერილი სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა
- სკოლის წერილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლის შენობა მდებარეობს მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ტაბიძის ქუჩა №13-ში, მიწის ფართობია 9479 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობის - 6232.79 კვ.მ..მიწისა და შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - სსიპ- ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა. სკოლის შენობა შედგება 2 ფლიგელისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გასასვლელით. ძირითადი შენობა 4-სართულიანი, მეორე კი-ორსართულიანი.

შენობაში სულ 44 საკლასო ოთახია, გარდა ამისა, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დირექციის ოთახები (დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის), რესურსოთახები, საკონფერენციო დარბაზი, სხვადასხვა სასწავლო თუ ტექნიკური რესურსის შესანახი ოთახები, ბუფეტი, სამასწავლებლო. სკოლას შეძენილი აქვს 1276 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას ორსართულიან შენობაში აქვს დიდი სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით, ასევე შესაბამისი სპორტული ინვენტარით. მეორე სართულზე დგას მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დიდი და ფართე დერეფნები, დიდი ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი სცენით) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორებით, სპორტული მოედნითა და დერეფნებში არსებული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდებით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა საცავით, სადაც განთავსებულია თაროები წიგნებით, მაგიდები. სკამები. არსებობს საინვენტარო წიგნი და მისი შესაბამისი EXCEL-ში დამუშავებული წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა მოსწავლეთა ფორმულარები, სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები მშობელსა და დირექტორს შორის. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკა მუშაობს 9 საათიდან 5 საათამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინკლუზიური ინფრასტრუქტურა: 4-სართულიანი შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე პირველიდან მეორე-მეოთხე სართულებზე ასასვლელად დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილებია

როგორც გოგოებისთვის, ასევე ბიჭებისათვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც ერთი სველი წერტილი არ არის იზოლირებული, დახურული დანარჩენი სივრცისგან, არამედ ღიაა.

ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ 2025 წლის 11 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება შპს სარპლასთან 8 მეტალოპლასტმასის საპირფარეშოს კარისა და 12 პეტალოპლასმასის კონსტრუციების შესყიდვის მიზნით, რათა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღეში. ხოლო დანარჩენი სივრცისგან სველი წერტილების გამოყოფის საბოლოო ვადად შესაბამისობის გეგმაში სკოლამ განსაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბერი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, დიდი და ფართე დერეფნებიქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია
- სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ბიბლიოთეკის დებულების შესახებ
- ხელშეკრულებები მშობლებთან
- ხელშეკრულებები დამრიგებლებთან
- საინვენტარი წიგნი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა - 2 კომპიუტერული კლასი, სადაც ვიზიტის დროს თითოეულში განთავსებული იყო 29-29 კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის ოთახებში, სამასწავლებლოში. სულ სკოლას აქვს 56 პერსონალური კომპიუტერი და 43 ლეპტოპი, 21 პროექტორი, 15 პრინტერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ, სკოლაში შემუშავებულია ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია საზიარო სივრცეები სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. არსებული რესურსების და მათი განვითარებისთვის ღონისძიებები, კიბერუსაფრთხოების საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება ციფრული განვითარების გეგმის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების დებულება, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ-ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საქმისწარმოების შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: https://skolebi.emis.ge/schools/ და https://www.9school.edu.ge/, ასევე სოციალურ ქსელში: https://www.facebook.com/profile.php?id=100083389358630. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და ასევე, თავისი გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://skolebi.emis.ge
https://www.9school.edu.ge
https://www.facebook.com/profile.php?id=100083389358630

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

დირექციის წევრებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას შესყიდვის გეგმის საფუძვლზე. შემდგომ მიმდინარეობს ბაზრის კვლევა. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ

სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ყველა იმ რეგულაციას, რომელიც ემსახურება მოსწავლის უფლებების დაცვასა და მათთვის კანონით მინიჭებული გარანტიების შესრულებას. დოკუმენტი შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მათ შორის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბავშვთა უფლებების კოდექსის და სხვა რეგულაციების გათვალისწინებით.შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის დისციპლინური და ქცევითი წესები, რაც მოიცავს არადისკრიმინაციის პრინციპებს, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, კონფიდენციალურობის დაცვასა და მოსწავლის ღირსების პატივისცემას. დოკუმენტი ასევე არეგულირებს დისციპლინური პასუხისმგებლობის, სამართლიანობის პრონციპებს, მოსწავლეთა წახალისებისა და დაცვის მექანიზმებს – როგორიცაა მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო,რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სასკოლო უსაფრთხოების ნორმები – პირდაპირ მიმართულია მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის მხარდაჭერისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

შინაგანაწესი ხაზგასმით ასახავს გამჭვირვალობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფილია შემდეგი მექანიზმებით:სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შინაგანაწესი და საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის მოსწავლეების, მშობლების და პედაგოგებისათვის.დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლესა და მის მშობელს აცნობს შინაგანაწესს, ხოლო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში – 5 კალენდარული დღის ვადაში. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური ან წახალისების ღონისძიებების გატარება რეგულირდება საჯარო და სამართლებრივი აქტებით, რაც კიდევ უფრო ამყარებს გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას. სკოლის მანდატურისა და დისციპლინური კომიტეტის ჩართულობით დარღვევებზე რეაგირება უზრუნველყოფს სამართლიანობის, თანასწორობის და მოსწავლეების ინტერესების დაცვის პრინციპებს. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის, სასკოლო რეგულაციების, გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც ასახავს სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. ხელშეკრულება ემყარება სკოლის შინაგანაწესს, რომელიც სავალდებულო წესით ეცნობება მოსწავლესა და მშობელს სასწავლო წლის დასაწყისში, ხოლო ნებისმიერი ცვლილება – 5 კალენდარულ დღეში. ხელშეკრულება არის განახლებადი და იგი გამომდინარეობს სკოლის მისია-მიზნებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- ✓ სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლა მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად და განსაზღვრული აქვს მკაფიო, წინასწარ გაწერილი მექანიზმები შემდეგი პროცესებისთვის: მოსწავლის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საჯაროობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, ის ეყრდნობა ესგ-ს საქართველოს განათლებისა და მეცნიერები მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს“. საფეხურის დაძლევა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს. მობილობის პროცედურები განხორციელებულია კანონის შესაბამისად სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები მკაფიოდ გაწერილია სკოლაში მოქმედ

დოკუმენტებში, შესაბამისია კანონმდებლობის და უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა მკაცრად იცავს ყველა პროცედურას, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლის სტატუსთან და დადგენილია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი"-თ, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ჩარიცხვისას ხდება ყველა საჭირო დოკუმენტის გადამოწმება და შესაბამისი წესით რეგისტრაცია, მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაცია მიმდინარეობს გამჭვირვალედ;

საფეხურის დაძლევისას გამოიყენება შეფასების სტანდარტული მექანიზმები და მოსწავლის აკადემიური მიღწევები წარმოადგენს გადაწყვეტილების საფუძველს;

სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტისას გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ დასაბუთებული საფუძვლით და მშობელთან კომუნიკაციით.

მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას:

სკოლის ვებგვერდზე - სსიპ ქ. ბათუმის №9 საჯარო სკოლა და საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნებულია სკოლის პროგრამები, მომსახურების სახეები და პირობები. თუ არსებობს რაიმე ტიპის საფასური (მაგ. დამატებითი სერვისებისთვის), ის გაწერილია დოკუმენტებში და ხელმისაწვდომია მშობლებისთვის.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით: სკოლაში ფუნქციონირებს 4 სასკოლი კლუბი: ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი -„ციცინათელა",,,ევროპული მომავალი",ევრიკა ,ალქიმიკოსები (ქიმია) 25 სასკოლო წრე მაგ : ფოლკლორის წრე „ლილე",,,ენის სიწმინდის დაცვის წრე",,,ვუმღერ სამშობლოს" ,,გამომეტყველებითი კითხვის წრე'' ,,,მათემატიკა ჩვენს ცხოვრებაში",,,ვისწავლოთ უკეთ მათემატიკა"

„ყველაფერი მათემატიკაზე“ ,,,საზრიანთა წრე“ ,გეოიდი“ (გეოგრაფია) ,“მიზანი“ (ისტორია) ,“სარანგი“(ისტორია) ,“ქომაგები“ (ბუნება) ,,,მე მიყვარს ბუნება'' ,,,ნორჩი ბიოლოგი'' ,,,მესამე პლანეტა'' ,,,მხატვრული კითხვის წრე'',,,საზრიანთა წრე'' - „ჩვენი საქართველო“ ,,,ქიმია ყოველდღიურ ცხოვრებაში'' ,,,Whiz kids'' (ინგლისური) ,,,Education'' (ინგლისური) ,,Umbrella'' ,,ვუნდერქინდი'' (გერმანული) ,,,Mirage'' (ფრანგული),,В мире русского языка'' (რუსული). სექციები სპორტის სხვადასხვა სახეობებში: ფეხბურთი და გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი და ბადმინქტონი, კალათბურთი, ფრენბურთი მხიარული სტარტები, მძლეოსნობა.

აღნიშნულ კლუბებსა, წრეებში და სპორტის სექციებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის სფეროს მიხედვით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომუნიკაციის სიზუსტესა და ეთიკურობას:

პერსონალის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მუდამ დაკმაყოფილებულია კანონმდებლობასთან და სკოლის პოლიტიკასთან;

ინფორმაცია განახლდება საჭიროებისამებრ და უზრუნველყოფს მოსწავლეთა, მშობლებისა და საზოგადოების სრულ ინფორმირებულობას;

არ ხდება დისკრიმინაციული ან მიკერძოებული დამოკიდებულება არც ერთი ჯგუფის ან მოსწავლის მიმართ — სკოლის კომუნიკაცია ეფუძნება თანასწორობისა და პატივისცემის პრინციპებს.

სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს), სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს (წრეები, კლუბები). მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი
- ✓ სკოლის ვებგვერდი

- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი
- ✓ ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- ✓ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (№01-03/26 07.03.2025 წ).მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, ტრანზიციის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში გადმოსულ ყველა მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მექანიზმები სკოლაში ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას და სოციალურ-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.სკოლის მოსწავლეთა

ადაპტირების წესი დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით 2025 წლის 7 მარტს. სასწავლო წლის დაწყებისას, პირველ დღეს, სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით, სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა, მიზანი არის მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოებაა. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ხდება სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა და მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლა მოსწავლეებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას უწევს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად რამდენიმე გზით:

სკოლას აქვს რემედიაციული სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს სწავლაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. ეს პროგრამა განკუთვნილია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოაჩნდათ ცოდნასა და უნარ-ჩვევებში განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით. რემედიაცია წარმოადგენს დამატებით მხარდაჭერასა და დახმარებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმში სწავლებისას ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ-ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე. სარემეადიაციო პროგრამაში ჩართული მოსწავლეებისთვის დამატებითი მეცადინეობები ტარდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან შემდეგ, რათა არ მოხდეს ძირითადი გაკვეთილების გაცდენა. პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში რემედიატორ მასწავლებელთან ერთად ერთვება კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია. პირველ რიგში დგინდება მოსწავლის პრობლემის ტიპი, რის შემდეგაც იგეგმება შესაბამისი ინტერვენცია.

მოსწავლეთა ადაპტაცია და ინკლუზიური განათლება: სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას, განსაკუთრებით პირველკლასელებისა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების სასკოლო პროცესში ჩართულობას.სკოლა მოიპოვებს ინფორმაციას სსსმ მოსწავლეთა ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური უნარების, ინტერესების, ქცევის თავისებურებებისა და პიროვნული მახასიათებლების შესახებ ოჯახთან კომუნიკაციით, ასევე იყენებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას.მშობლებს ეძლევათ ამომწურავი ინფორმაცია სკოლაში არსებული დამხმარე სერვისების, სპეციალისტების კვალიფიკაციისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. დეზადაპტაციის პროცესისას მასწავლებლები ახდენენ მოსწავლის ჩართულობის იდენტიფიცირებას და აცნობებენ მშობელს, პროცესში შესაძლებელია ფსიქოლოგის ჩართვა.

არაფორმალური აქტივობები - 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ჩამოყალიბდა ქიმიის კლუბი ,,ალქიმიკოსები“, ,,ქიმიის საიდუმლოებანი“. ფუნქციონირებს ასევე კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბი „ევროპული მომავალი“ფიზიკის კლუბი „ევრიკა“,ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი „ციცინათელა“. რომელთა მიზანია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარ-ჩვევების

განვითარება, ქიმიის საგნის პოპულარიზაცია,სააზროვნო უნარების განვითარება,თანამშრომობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა და სხვა. კლუბს აქვს დებულება, წესდება, ლოგო, სლოგანი. გარდა ქიმიის კლუბისა სკოლაში ფუნქციონირებს სხვა კლუბები და წრეები.

წრეებში და კლუბებში შექმნილია ინტერაქტიული გარემო, მათი მიზანია მიზანია საგნების პოპულარიზაცია, პრეზენტაციისა და დისკუსიაში ჩართულობის, სააზროვნო უნარების, თანამშრომლობისა და გუნდურობის უნარების განვითარება, ეს ყველაფერი ხელს უწყობს ამოცანების ამოხსნის სტრატეგიების გამომუშავებას, შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. კლუბში და წრეებში მუშაობა ტარდება ინდივიდუალური, ჯგუფური, პრეზენტაციისა და დისკუსიის მეთოდით. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული სექციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს მის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. ინფორმაცია მშობლებსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე. ხოლო სსსმ ან შშმ ბავშვების რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს (მაგალითად, ფიზიკური გარემოს ადაპტირება ან სხვა), რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება. სკოლაში არის ლიფტი, პანდუსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ასევე მათი შესაძლებლობების წარმოჩენას. სკოლის დირექცია მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, რათა ისინი იყვნენ უფრო მოტივირებული და ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზებას . სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

სამოქალაქო განათლების კლუბი „ევროპული მომავალი“

ფიზიკის კლუბი „ევრიკა“

ქიმიის კლუბი „ალქიმიკოსები“

ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი „ციცინათელა“

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“
„საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი“
„გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო“
ფორმალურ განათლებასთან ერთად, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაფორმალურ განათლებას და ახორციელებს აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას , თეორიულ ცოდნასთან ერთად აძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას.მაგ .ჩატარებული აქტივობების არასრული სია ასე გამოიყურება : „23 ნოემბერი - წმინდა გიორგის ხსენების დღე“ „„8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე“ „„ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი კვირეული“ ,წიგნის საჯაროდ მსოფლიო კითხვის დღესთან დაკავშირებული აქტივობა „წიგნი ჩემი მეგობარია „ ,მოსწავლეთა შიდასასკოლო სასწავლო კონფერენციები (ჩატარებული ყველა კათედრის მიერ) და სხვა.სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესთან ერთად შექმნას მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრება და ტრადიციული სასკოლო მოდელისგან განსხვავებით, თითოეულ მოსწავლეს თავი აგრძნობინოს სასკოლო საზოგადოების მნიშვნელოვან წევრად. ამ მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
გაკვეთილების ჩატარება მუზეუმებში
ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში
მოსწავლეთა მონაწილეობა სახელოვნებო ფესტივალებსა და კონკურსებში
სპექტაკლებსა და კინოფილმებზე ერთობლივი დასწრება
კალიგრაფიისა და მხატვრული კითხვის კონკურსი
სპორტული შეჯიბრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების ინტერესებს. ამ ინტერესების გამოკვეთა და ინიციატივების მიღება ხდება მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე და უკუკავშირის საფუძველზე. მიღებული უკუკავშირის შედეგად იგეგმება და ხორციელდება აქტივობები, რომლებიც მიმართულია გამოკვეთილი პრობლემური საკითხების მოგვარებაზე და არსებული მექანიზმების გაუმჯობესებაზე. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია მოსწავლესთან, მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ახალი მოსწავლის მშობელი მყისიერად ინფორმირებულია მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეზადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას გამოვლენილი დეზადაპტაციის ნიშნები და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ სკოლის ვებგვერდი
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებები მოსწავლის შინსწავლების რეჟიმზე გადაყვანისა და შინსწავლების პროცესის შეწყვეტის შესახებ
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის რემედიაციული სწავლების მეთოდოლოგია
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი
- ✓ სასკოლო კლუბების, წრეების და პროექტების დოკუმენტები
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ტრანზაციასთან დაკავშირებული მართვის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სასკოლო სასწავლო გეგმა, მოცემულ ეტაპზე ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის კონკრეტულ მექანიზმებს. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ კოლეჯ „ბლექსთან“, რომლის ფარგლებშიც სკოლის 15 მოსწავლე გაივლის პროფესიული უნარების განვითარების კურსს სამკერვალო წარმოებაში. ასევე, გაფორმებულია მემორანდუმი ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლასთან, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს ხალხური მუსიკისა და თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადების მიმართულებით. კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო გეგმებში ითვალისწინებენ პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში ხშირად ეწყობა შეხვედრები პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, ასევე ღია კარის დღეები მოსწავლეთა ინფორმირებულობის მიზნით.როგორც საუბრისას გამოიკვეთა სკოლა გეგმავს, მომავალ 2025-2026 სასწავლო წელს გააძლიეროს ეს მიმართულება ადგილობრივ

პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებით, რათა მოსწავლეებს შესთავაზოს პროფესიული კარიერის მრავალფეროვანი პერსპექტივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს ან მათ მშობლებს სასარგებლო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლაში ხშირად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით. მსგავსი აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და მიდრეკილებები. სკოლა ცდილობს, მოსწავლეები შეახვედროს წარმატებულ კურსდამთავრებულებს, რომლებიც საჯაროდ უზიარებენ საკუთარ პროფესიულ გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა ყოველწლიურად აანალიზებს და აფასებს პროფესიულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ჩარიცხულ მოსწავლეთა შედეგებს. დამრიგებლებთან ერთად განიხილება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები. სკოლა აქტიურად ეხმარება მოსწავლეებს კოლეჯში ჩარიცხვაში და პროფესიის არჩევაში. თუმცა, აღინიშნება, რომ პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვა მისაღები მცირე კონტიგენტის გამო არ ხერხდება. სკოლა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გახადოს მოსწავლეები უფრო კონკურენტუნარიანები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მემორანდუმი სსიპ- ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლასა და სსიპკოლეჯ ,,ბლექს“ შორის
- ✓ მემორანდუმი სსიპ- ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლასა და ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას შორის

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ბათუმის #9 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი და მხარს უჭერს მათ წინსვლასა და განვითარებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით. სკოლაში სწავლობს 41 სსსმ და 2 შშმ (შინ სწავლებაზე) მოსწავლე. სკოლაში მუშაობს 5 სპეც. მასწავლებელი, 10 ასისტენტი, 1 ფსიქოლოგი და 1 მეტყველების სპეციალისტი წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით. სსსმ მოსწავლეებს საჭიროებიდან გამომდინარე დახმარებას უწევს ასისტენტები. მოსწავლეებს უტარდებათ ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახებში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით, სადაც მუშაობა მიმდინარეობს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სამიზნე აქტივობებზე. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) სამუშაო ჯგუფები, რომელთა მიზანია მოსწავლის საჭიროებების შეფასება, შესაბამისი გეგმის შემუშავება და პროცესის პერიოდული მონიტორინგი.

ძირითადი მექანიზმები მოიცავს:

ისგ ჯგუფების მუშაობა: თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში მართავს მინიმუმ ოთხ შეხვედრას. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მოსწავლის მშობელი, სსსმ კოორდინატორი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და გადახედვა: ისგ-ში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სასწავლო მიდგომები, კომპლექსური დავალებების ადაპტაციის გზები და შეფასების ფორმები. გეგმას პერიოდულად განიხილავს ისგ ჯგუფი და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

მშობლების აქტიური ჩართულობა: მშობლები მონაწილეობენ ისგ ჯგუფის შეხვედრებში, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, რაც ასახულია შეხვედრების ოქმებში. სპეციალური მასწავლებლები მშობლებთან მართავენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს, აწვდიან რეკომენდაციებს.

სკოლის პერსონალის თანამშრომლობა: სპეციალური მასწავლებლები თანამშრომობენ საგნის პედაგოგებთან, ახორციელებენ დაკვირვებას გაკვეთილებზე, აფიქსირებენ საჭირო შენიშვნებს და ერთობლივად ადგენენ სასწავლო რეკომენდაციებს მოსწავლის მხარდაჭერის მიზნით.

დოკუმენტაცია: ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სპეციალურ მასწავლებელთან და მოსწავლის პირად საქმეში, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ დაცვას.

მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერა: განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც იკვეთება მნიშვნელოვანი საჭიროება, გადაწყვეტილებების მიღებაში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი, მათ შორის ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სხვა სპეციალისტები.

აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებულ პროცესს და უწყობს ხელს მის თანმიმდევრულ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ✓ ისგ სამუშაო ჯგუფის ოქმი
- ✓ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ✓ ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმის შესახებ
- ✓ ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი
- ✓ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ✓ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი
- ✓ სპეცმასწავლებლის ანგარიში

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლას გაცემული აქვს ფართები ფუნქციონირებისთვის შემდეგი მიზნებისთვის:

კვების ობიექტი (ბუფეტი): სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება ინდმეწარმესთან, ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 30,5 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის კვების ობიექტის (სკოლის ბუფეტის) ფუნქციონირებისთვის. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ვალდებულებებს სასკოლო კვების ორგანიზების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სპორტული და სააქტო დარბაზი:სააქტო დარბაზი სკოლას დადგენილი წესით გაცემული აქვს ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მარეთის“ ფუნქციონირებისათვის და სპორტული დარბაზი სპორტული წრის ფუნქციონირებისათვის.

აუდიტის დასკვნა: ჩატარებულია აუდიტორული მომსახურება სსიპ ქალაქ ბათუმის №9 საჯარო სკოლის მიერ გასაქირავებელი ფართების (სპორტული დარბაზი და ბუფეტი) საიჯარო ქირის საბაზრო ფასის განსაზღვრის შესახებ. დასკვნა მომზადებულია ინდივიდუალური აუდიტორის მიერ 2024 წლის 7 ოქტომბერს.

მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა იცავს უსაფრთხოების ზოგადად არსებულ ნორმებს, განსაკუთრებით კვების ობიექტისა და წრეების ფუნქციონირებისას. ასევე, იჯარით გაცემული ფართების გამოყენება ხდება მხოლოდ სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მოსწავლები, ზემოთ ჩამოთვლილ შთავაზებებს ირჩევენ ნებაყოფილობით მათი ინტერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მაგალითად კვების ობიექტის შემთხვევაში (ბუფეტი): იჯარის ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს, რომ მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს კვების სერვისის განხორციელება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ადასტურებს, რომ მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ იჯარის ხელშეკრულება
- ✓ აუდიტის დასკვნა
- ✓ ფართის იჯარით გაცემის ნებართვები

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას, რომ კათედრების დონეზე განხილული გეგმები დაეყრდნოს როგორც მასწავლებელთა პროფესიულ ხედვას, ისე სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს. ყოველწლიური კურიკულუმის განხილვა და მოდიფიცირება ხორციელდება წინა გამოცდილების, ჩატარებული გამოკითხვებისა და კათედრაზე განხილვების საფუძველზე. ამ პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის განვითარების

ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტების დასახვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

2024-2025 სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნა მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები — კერძოდ, მეორე უცხო ენისა და არჩევითი საგნების შერჩევისას, ასევე, ჩატარებულია გამოკითხვები სკოლის თემის ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად. იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, ასევე რემედიაციული სწავლების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კათედრების აქტიური ჩართულობით და მასწავლებელთა თანამშრომლობით შემუშავდა კურიკულუმი, მშობლები მონაწილეობდნენ ინფორმაციის მოწოდებაში. მასწავლებლებმა კი სასწავლო წლამდე განიხილეს და შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები, შერჩეული თემების მიხედვით განსაზღვრეს შემოქმედებითი დავალებები. აღნიშნული პროცესი ეფუძნებოდა როგორც შიდა ტრენინგებსა და კონსულტაციებს, ასევე გუნდურ მუშაობას.გასაუბრების საფუძელზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შინაარსი და დაგეგმილი აქტივობები გაზიარებულია მშობლებისა და მოსწავლეებისთვის როგორც პირისპირ შეხვედრებისას (მშობელთა კრებები, კლასის საათები), ისე ონლაინ პლატფორმების საშუალებით. სკოლის საინფორმაციო დაფაც გამოიყენება ამ მიზნისთვის. კომუნიკაციის ეს ფორმები უზრუნველყოფს კურიკულუმის გამჭვირვალობასა და ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ რემედიაციული სწავლების მეთოდოლოგია
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

- ✓ მშობელთა კრების ოქმი
- ✓ დაწყებითი კლასის მასწავლებელთა კათედრის სხდომის ოქმი
- ✓ კლასის საათის ოქმები
- ✓ სასკოლო თემის კვლევის კითხვარი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ამჟამინდელი ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შუალედურ მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო გეგმების მოსწავლეზე ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად ცდილობენ იყვნენ ფასილიტატორის როლში, მოსწავლეები უფრო მეტად ჩართონ და გააქტიურონ საგაკვეთილო პროცესში. გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა. შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს, რათა მათ ზუსტად განსაზღვრონ რა მოეთხოვებათ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სამივე საფეხურზე არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ

	შემოქმედებითი ბუნების დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ძირითად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა - სწავლების პროცესში. მუსიკის საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალებების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების

	შემდეგ გამოჩნდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის სასწავლო შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურუკულუმები სამივე საფეხურზე შედგენილია და ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. გაწერილი მიმართულებები, სამიზნე ცნებები, თემები/საკითხები დაკმაყოფილებულია ესგ მოთხოვნებთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში. კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა

	ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, უმეტეს საგნებში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს, ძირითადად, სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები. გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება სკოლაში მოქმედი ფიზიკის კლუბ „ევრიკას“ მიერ განხორციელებული საინტერესო აქტივობები. გამოცხადდა „ახალგაზრდა ტექნოლოგიური კლუბებს“ შორის კონკურსი, კლუბმა მოიპოვა გამარჯვება და ორგანიზაციის „ევროკავშირი საქართველოსთვის“ დაფინანსებითა და მხარდაჭერით ილიას სახელმჭიფო უნივერსიტეტის საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA), ICT კლასტერის და ინოვაციური განათლების ფონდის (IEF) ერთობლივი თანამშრომლობით მოსწავლეებმა გაიარეს უფასო კურსი „ პროგრამირება პითონზე“ და „გრაფიკული დიზაინი“. გასულ წელს კლუბმა მიიღო მონაწილეობა აჭარის განათლების საამინისტროს მიერ ახალგაზრდა კლუბების განვითარების მხარდასაჭერად გამოცხადებულ კონკურსში, სადაც კლუბმა წარადგინა პროექტი, „ოპტიკური ილუზიები“, გაიმარჯვა და მოვიპოვეთ 1600 ლარიანი გრანტი. შეიძინეს ტელესკოპი, პლაზმური ბურთი, 3 ცალი

	არდუინოს ნაკრები, მულტიმეტრი და ოპტიკური პოსტერები. ასევე, როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, ამა წლის აპრილში აჭარის განათლების სამინისტრომ კვლავ გამოაცხადა იგივე კონკურსი; წარადგინეს პროექტი „თამაშით მეცნიერებისაკენ“ და მიიღეს 2500 ლარიანი გრანტი. შეიძინეს TOX-ის სახალისო მეცნიერული სათამაშოები, სხვადასხვა სახის კონტრუქტორები და ელექტროფორული მანქანა. პედაგოგი ამჟამად ჩართულია აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ მეორე კონკურსში „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“, პროექტით „ მოძრაობისა და ტრანსპორტის ფიზიკა“, და ელოდება შედეგებს. კლუბის მუშაობის გარდა მოსწავლეები ატარებდნენ სხვადასხვა ექსპერიმენტებს, იკვლევდნენ სიდიდეებს, ქმნიდნენ მოდელებს. დაამზადეს ელექტროსკოპი, ღვედური გადაცემის მოდელი, ბერკეტი, ასევე მოსწავლეები დიდი ინტერესით აწყობენ არდუინოს საშუალებით სხვადასხვა პროექტებს. ააწყვეს პროექტი „ციმციმა“, „შუქნიშანი“, ფოტორეზისტორი, შლაგბაუმი. მოეწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია. ქიმიის მიმართულებით: განხორციელებულია ქიმიის კლუბ ,,ატომისა'' და ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ კლუბ ,,ცისნამის" ერთობლივი პროექტი: ,,დედამიწა შვილებისგან ნასესხები გვაქვს“. მიზანი: მოსწავლეებში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, სააზროვნო უნარების განვითარება. თანამშრომლობის, გუნდურობის განვითარება. პრობლემის გადაჭრის უნარი გამოვლენა; კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა/ განვითარება. თუმცა არის რამდენიმე გამონაკლისი. აღმოჩნდა, რომ მე-6 კლასის კურიკულუმში განსაზღვრული თემები არ შეესაბამება სტანდარტს. ასევე, მე-9 კლასის ფიზიკის კურიკულუმში არ იკითხება მეორე თემაში დასაფარი ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანი (ს.ცნ.მატერია).**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას,

მეცნიერებები	როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ანვითარებს მოსწავლის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ორიენტირებულია უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. შესაბამისად კურიკულუმი პასუხობს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული სასწავლო აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებას. პედაგოგები ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური

	სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურუკულუმები შედგენილია და მიემართება სასწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, ორიენტირებულია მოსწავლეზე. შედგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს. იგი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს. კურიკულუმში მკაფიოდ იკვეთება ორიენტირებულობა გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, რომელსაც აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები ადასტურებს, რომ დაწყებითი კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ყველა კლასის ჩარჩოში აღნიშნულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები), საკითხები, თემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მითითებული რესურსების ჩამონათვალი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ძირითადი და რეკომენდებული რესურსებისა, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, პედაგოგები ასევე იყენებენ საავტორო რესურსებსაც, რომელთა სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის საკითხს განიხილავს და ამტკიცებს საგნობრივი კათედრა. სასურველია ზოგიერთ საგანში შერჩეული რესურსები კონკრეტულად იყოს მითითებული, მაგ: ბიოლოგიის საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში მთლიანად ზოგადი ხასიათისაა რესურსების ჩამონათვალი (კითხვარი, ვიდეოფილმები, პრეზენტაციები, ანიმაციური ფილმები).უმჯობესია, წარმოდგენილი იყოს ლინკების ან კონკრეტული სათაურების/დასახელების ფორმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალიწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსები, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგს მიაღწიონ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი რესურსი (სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ელ. რესურსები), რაც უზრუნველყოფს ესგ-ით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და

	ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პროგრესზე. ამას ადასტურებს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მრავალფეროვანი რესურსი (აუდიო-ვიდეო, ვიზუალური). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შერჩეული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომელიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი ისეა აგებული, რომ მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამის შინაარსი, მიმდინარე საკლასო აქტივობები, სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ადასტურებს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურუკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს, კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების სვეტში აღნიშნული ბმულები,

	ტექსტები, კონტექსტ მაგალითები ნამდვილად ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება. ამ მიმართულები პედაგოგთა დაოსტატების მიზნით, სკოლა მომავალში გეგმავს მასწავლებელთა გადამზადებას, ვორქშოფებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და ინკლუზიური

	განათლების ხელმისაწვდომობა. სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ასახულია ხელოვნების და მუსიკის საგნის მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირება, ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მუსიკის /ხელოვნების პედაგოგი გეგმავს და ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად /მოსწავლეთა სოციალიზაციის, პროსოციალური ქცევების გამომუშავებაზე, ზრუნვაზე. სკოლაში არის სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური გეგმებით მუშაობაობის გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს ინდ. გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის მიხედვით კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. სკოლას გააზრებული აქვს ამ მეთოდიკური ორიენტირის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია ისგ, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. იკვეთება მასწავლებელთა მზაობა, წინარე გამოცდილება დიფერენცირებული სწავლებისა და

	ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებისათვის. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. ასევე მათ აქვთ სპეცმასწავლებელთან ერთად სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, ურთიერთთანამშრომლობით ადგენენ ისგ-ის, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, გარკვეულწილად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან

	მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი; აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ასევე, წარმოდგენლია შეფასების ჰოლისტური რუბრიკები, რითაც მოხდება მოსწავლეთა სხვადასხვა ფუნქციური-კომპონენტური უნარების შეფასება. უნდა აღვნიშნო, რომ რუბრიკებში არ ჩანს ყველა სამიზნე ცნების მიმართ გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მოლოდინები, თუმცა, იკვეთება, რომ პედაგოგები სწორად განსაზღვრავენ ურთიერთმიმართებებს შეფასების კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს შორის. ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას სოლო ტაქსონომიით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც დაკმაყოფილებულია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას ჯერ არ აქვს ამის გამოცდილება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი გადის უცხოური ენების სტანდარტით მოთხოვნილ გრძელვადიან მიზნებზე.

	გათვალისწინებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობები. მაგ: პროექტული სწავლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას, ასევე მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას, საანგარიშო ოქმის შესაბამისად კათედრა ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ორიენტირებას მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სამივე საფეხურის კათედრა კომპლექსური დავალების შესაფასებლად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილია განმვითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოებისათვის. აკვირდებიან, სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლის განვითარების დინამიკას. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების მრავლფეროვანი რუბრიკები, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების განხორციელების შეფასებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- ✓ ისგ-ები, კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკა
- ✓ სასკოლო კურიკულუმი მუსიკა და ხელოვნება
- ✓ სასკოლო სასწვლო გეგმა
- ✓ ინდ.სასწავლო გეგმა
- ✓ განხორციელებული პროექტების გეგმა
- ✓ სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ ქართული ენის მასწ. წლიური ანგარიში.წლიური ანგარიში გეოგრაფიაში
- ✓ შეფასების. რუბრიკები.
- ✓ ქართული - გაკვეთილის დასწრების შეფასების გეგმა. გაკ. შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი იგეგმება კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ მასში ცვლილებები. კურიკულუმი ეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნა, მოსწავლეს აძლევს ცოდნის ტრანსფერის საშუალებას ცხოვრებისეულ პრაქტიკაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ზოგიერთ კლასში დაგეგმილი ჰქონდათ 7-8 კომპლექსური დავალება, რაც დროში ვერ მოესწრო და მოუწიათ მათი შემცირება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ხდება მოდიფიცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი. მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში ჩანს, რომ სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები მუშავდება თითოეულ თემასა და საკითხთან მიმართებით. **ინდიკატორი**

	დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო თემების, ქვესაკითხებისა და საკითხების გააზრებასა და გაცნობიერებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და სასწავლო აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ იძლევა შესაძლებლობას სრულად იქნეს სასწავლო პროცესი წარმართული სწორედ და მიღწეული იქნას სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების

	შესრულების აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - ბათუმის №9 საჯარო სკოლა აქტიურად აანალიზებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. კათედრებზე პერიოდულად გადახედავენ და ცვლილებებს შეაქვთ კურიკულუმში მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით; მიმდინარე სასწავლო წლის პროცესში, თუ იკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები ან გამოწვევები, სკოლა მუშაობს დიფერენცირებული მიდგომის გაძლიერებაზე. სკოლა აქტიურად მუშაობს კურიკულუმის რევიზიაზე, მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაცია, მათი უკუკავშირი და საჭიროებების იდენტიფიცირება მუდმივ რეჟიმში ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას. სასწავლო პროცესის დინამიკა იძლევა შესაძლებლობას კურიკულუმში მოქნილად ინტეგრირდეს ცვლილებები (გაკვეთილის სტრუქტურა, აქტივობები, შეფასების ფორმატები და სხვ.). სკოლას და მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეხვდნენ ახალ გამოწვევებს და გაიარონ შესაბამისი ტრენინგები და სასწავლო კურსები რომლებიც დაეხმარებათ ახალი თანამედროვე მიდგომებისა და პროდუქტების შესწავლაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს და პირობებს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება მოსწავლეთა ნამუშევრები. მასწავლებლები იცნობენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე ხდება მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირება

	შემუშავებული რუბრიკების ირგვლივ, თვალსაჩინოდ აკრავენ ან მოსწავლეებს ურიგებენ მათ, რაც ერთის მხრივ, გამჭვირვალობას უწყობს ხელს, მეორეს მხრივ კი- მოსწავლეს ეხმარება სასწავლო მიზნის მიღწევაში, თვითშეფასებაში. მოსწავლემ იცის რაში , როგორ და რის საფუძველზე აფასებენ, რაც შეფასების პროცესის ობიექტურად წარმართვას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც აფასებს მოსწავლეების უნარებს. როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების) საკითხი, რომელიც ამოწმებს რამდენად სწორად არის შედგენილი და გამოყენებული შეფასების რუბრიკები, დავალებების ანალიზისა და შეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან

	თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, მასწავლებლებთნ გასაუბრებით ვიგებთ, რომ შეფასება არის ვალიდური, ანუ მოსწავლემ იცის რა ფასდება და რომელი კრიტერიუმით; შეფასება არის გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ ბათუმის №9 საჯარო სკოლამ შეიმუშავა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შიდა მექანიზმებს შეფასების სისტემის სტანდარტთან შესაბამისობის შესაფასებლად. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ სპეციალურად შერჩეული ვერიფიკატორი პირები, რომლებიც მონიტორინგს ახორციელებენ მონიტორინგსვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია კურიკულუმის ან შეფასების მექანიზმების კორექტირება. ეს სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის შიდა კონტროლს და თვითგანვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა აწარმოებს აკადემიური შედეგების სისტემურ აღრიცხვას როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული მონაცემების სახით. ინფორმაცია ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით და მოიცავს:

- კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგებს;
- მასწავლებელთა ანგარიშებს;
- სემესტრულ და წლიურ შეფასებებს;
- პროგრესის ანალიზს კლასების და საფეხურების მიხედვით

ეს პროცესი ხორციელდება სკოლის არქივის, ასევე ციფრული ფორმატების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების დროულ და სანდო წვდომას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კომპლექსური დავალების ბარათი, პროდუქტი, შეფასება
- ✓ სასწავლო პროექტი
- ✓ მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი

- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ სამივე საფეხურის კურიკულუმი
- ✓ კომპლექსური დავალება
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები მოსწავლისა და მშობლისათვის
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმი.
- ✓ ქართული - გაკვეთილის დასწრების შეფასების გეგმა. გაკ. შეფასების რუბრიკა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი საგნობრივი მიზნის მიღწევისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ფორმატის დავალებების ფორმების (მაგ. კომპლექსური დავალების ბარათი), მათი განხორციელების გეგმებისა (მაგ. თემატური ერთეული მატრიცა) და შეფასების რუბრიკების შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი იყოს საკმარისად მოქნილი, რომელშიც ჩაშენებულია დიფერენცირებული ინსტრუმენტები, მათი სრული ან ნაწილობრივი ადაპტირებისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პედაგოგები იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებს: გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ვიდეორგოლებს, სოციალურ რეკლამებსა და ფილმებს, სხვადასხვა პროგრამებს, ქვიზებსა და სხვა. კათედრები ასევე მუშაობენ საავტორო, უნიკალური რესურსებითაც.

	ვიზიტის დროს სკოლას დაუფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, ბიოლოგიის მე-11 კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, მათ შორის არც ძირითადი სახელმძღვანელო, რასაც ეყრდნობიან სასწავლო პროცესში. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ბიოლოგიის მასწავლებლებისა და დირექტორის მოადგილის ჩართულობით შედგენილი ბიოლოგიის მე-11 კლასის განახლებული კურიკულუმი, რომელშიც მითითებულია ძირითადი სახელმძღვანელო (ნ. ზაალიშვილი - ბიოლოგია 11 კლასი) და ამ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით სასწავლო რესურსები. **ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის განხორციელებისთვის იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს როგორც ონლაინ - ბრიტანეთის საბჭოს რესურსები ისე მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმში გაწერილია ძირითადი და დამხმარე რესურსები, რომელიც სრულებით კოლერაციაშია სასწავლო პროცესთან. სასწავლო პროცესში რესურსები შეჩეულია მოზნობრივად, თემთან და გრძელვადიან მიზნებზე კავშირში, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართავს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად დასახელებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხებს და გრძელვადიან სასწავლო მიზნებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია რომელსაც აქტიურად იყენებს სასსავლო პროცესში ასევე აქტიურად გამოიყენება ელექტრონული სასწაბლო რესურსები როგორიცაა school.emis.ge და ასევე ვიზუალური პრპოგრამირების აპლიკაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. რესურსები, რომლებიც აღნიშნულია კურიკულუმის ჩარჩოში, ჩანს რამდენიმე დანართში, აქტივობების განხორციელების ეტაპზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო	სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრა ეცნობა კოლეგების მიერ ინდივიდუალურად შექმნილ საავტორო რესურსებს, აზუსტებს მათ მიმართებას შესასწავლი თემებისა და

მეცნიერებები	საკითხებისადმი. შესაბამისად, იქმნება რესურსების ბანკი, რაც გაზიარებულია კოლეგებში. რესურსებს ეცნობა ასვე დირექცია და ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის გუნდი. რესურსები შერჩევა და დამტკიცება ხდება კათედრის ხდომაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	საგნობრივი კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს და ახდენს მათ ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ახორციელებს დამატებითი რესურსის შერჩევას, რომელიც შეესაბამება ესგ-ის ორივე საგნის სტანდარტს,რასაც მოწმობს კათედრის ოქმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრათა სხდომებზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. ზემოთნახსენები ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების მეტ-ნაკლებ ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს მექანიზმები შემუშავებული რომლითაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით, სკოლის პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად იყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგთა თქმით, კურიკულუმში გათვალისწინებულია უნივერსალური დიზაინის და დიფერენცირებული მიდგომის მიხედვით თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული რესურსების გამოყენება. სწავლის შედეგების უზრუნველყოფას გარკვეულწილად ხელს უწყობს სკოლაში არსებული მწირი მატერიალური რესურსები. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტში აქვთ თითო ელექტრონული მიკროსკოპი, ჯამში 3. ასევე, სხვადასხვა მოდელები, მულაჟი, ძველი პოსტერები. პედაგოგები საკუთარი ძალისხმევით უზრუნველყოფენ მარტივი სადემონსტრაციო ცდებისთვის საჭირო რესურსების შეძენას სხვადასხვა ფიზიკურ/ქიმიურ მოვლენებზე დაკვირვებისთვის. ვიზიტის დროს სკოლას დაუდგინდა ხარვეზი საბაზო და

	საშუალო საფეხურებზე, კერძოდ: *სკოლას არ აქვს ქიმიის თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია, გამჭოვი კარადა, მინის ფარი სადემონსტრაციო სივრცის გამოსაყოფად. კაბინეტებში არსებული რესურსების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ქიმიური რეაგენტები, მოძველებულია, ამას ადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობა, რაც დაადასტურებდა რეაგენტების განახლებაზე ზრუნვის საკითხს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების ზომები არ არის სათანადოდ დაცული ცდების/ექსპერიმენტების ჩასატარებლად.* აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ მიმართა ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან საშუამდგომლოდ. გარდა ამისა, სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება ქიმიის კაბინეტში სადემონსტრაციო მაგიდის შესაძენად შპს ვა-ნი-სთან. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოსაწყობად დაგეგმილი აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში და შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრული აქვს 31. 12 2025. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსი, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალიწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის,ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია რომელსაც აქტიურად იყენებს სასსავლო პროცესში. ასევე უზრუნველყოფილია ინტერნეტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ბათუმის №9 საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსით, რაც ითვალისწინებს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს. სკოლაში დასაქმებულია 120 პედაგოგი, მათ შორის 18 წამყვანი მასწავლებელი, 101 უფროსი მასწავლებელი, 1მასწ.მაძიებელი. პედაგოგებს გააჩნიათ დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები. გარდა საგნობრივი მასწავლებლებისა, სკოლას ჰყავს სპეციალური პედაგოგები, ფსიქოლოგები და ასისტენტები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების წარმართვას. ადამიანური რესურსის მართვა ხდება სისტემურად და დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისად, რაც ხელს უწყობს პროცესის სტაბილურობასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ პერსონალის სია EMIS-დან (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სსიპ - ბათუმის №9 საჯარო სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესს ახორციელებს კურიკულუმში გაწერილი მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით. პროცესში ჩართულია როგორც საგნობრივი კათედრები, ისე ხარისხის განვითარების ჯგუფი და ადმინისტრაცია. თითოეული სასწავლო წლის ბოლოს ხდება მიმდინარე პროცესების შეფასება და შედეგების გამოყენება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. შეფასება მოიცავს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, რეფლექსიასა და უკუკავშირს, რაც სისტემურ ხასიათს ატარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
   მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები და ხარვეზები ხდება **ანალიზის და განხილვის საგანი** საგნობრივ კათედრებზე. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ფორმდება რეკომენდაციები, რომლებიც აისახება კურიკულუმის შინაარსობრივ ცვლილებებში. მაგალითისთვის, მიმდინარე წელს შეფასების სისტემის გაანალიზების საფუძველზე განხორციელდა შეფასების რუბრიკების გადამუშავება **და** ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგის მიზანი მხოლოდ პრობლემის იდენტიფიცირება კი არ არის, არამედ მასწავლებელთა პროფესიული გაძლიერება და მხარდაჭერა. სკოლის პრაქტიკაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრების შემდეგ ტარდება კოლეგიური ანალიზი, განიხილება სასწავლო მასალა და მიმდინარეობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. აგრეთვე, იგეგმება თემატური საინფორმაციო შეხვედრები კათედრების ან ცალკეული მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებულად. ეს ყველაფერი ამაღლებს სასკოლო საზოგადოების მოტივაციას და პროფესიულ თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ ურთიერთდასწრების განრიგი
- ✓ გაკვეთილზე დასწრების ფორმა / რეფლექსია / უკუკავშირი
- ✓ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კათედრის ბოლო ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**
   სსიპ ბათუმის №9 საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებელთა, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, დაკვირვება, კომპლექსური დავალებების შედეგები და მასწავლებელთა კათედრაზე გაკეთებული ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**
   შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის უნარების დონე, წინარე გამოცდილება, საგნობრივი კავშირის სიღრმე. შეფასება ხდება კონკრეტული მიზნიდან და აქტივობის ბუნებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი რუბრიკები და კომპლექსური დავალებები მორგებულია კონკრეტულ საგანზე, თემაზე და სასწავლო მიზანზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს სხვადასხვა გზით:

კომპლექსური დავალებების შედეგები, შეფასების რუბრიკები (ჰოლისტური, ანალიტიკური), ბარათები, ცხრილები, მოსწავლის თვითშეფასება და რეფლექსია. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს მასწავლებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას არა ერთჯერადი შედეგით, არამედ პროცესზე დაფუძნებული მრავალფეროვანი ინფორმაციის ანალიზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**
   მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის აკადემიურ შესაძლებლობებს, უნარებს, ინტერესებს და ფიზიკურ თავისებურებებს. ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შედგენა, საჭიროების შემთხვევაში –

უნარების დიაგნოსტირება. ასევე, შეფასებისას გაკვეთილზე განიხილება, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე ცოდნას, როგორ ახდენს ცოდნის კავშირსა და ტრანსფერს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ თემატური მატრიცები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლაში სასკოლო სტრუქტურის ყველა ერთეულის ჩართულობით ხშირად იმართება ინფორმაციული და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები კათედრებთან და ცალკეულ პედაგოგებთან. მომავალი სასწავლო წლისთვის

მუშავდება საჭიროებათა პაკეტი და ტარდება თვითშეფასება. სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივ კათედრებზე მოხდება გამოწვევებისა და პრიორიტეტების გაანალიზება, რის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვეწად. მუშავდება ცვლილებათა ნუსხა, რომელიც აისახება მომავალი წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   კურიკულუმის შედგენის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები განიხილავენ საგნის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს, ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას.სასწავლო წლის ბოლოს კათედრები განიხილავენ მონიტორინგის შედეგებს და ითვალისწინებენ მომდევნო წლის კურიკულუმების გადამუშავების პროცესში.სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების განუყოფელი ნაწილია.სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივ კათედრებზე განიხილება განხორციელებული სასწავლო აქტივობები, ხდება საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, გამოწვევების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო გეგმის დასახვეწად.2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმებში გათვალისწინებული იქნება გაწეული მონიტორინგის შედგები, მასწავლებელთა და კათედრის გამგეების წლიური ანგარიშები, სასკოლო თემის გამოკითხვის შედეების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კათედრის სხდომის ბოლო ოქმი
- ✓ მასწავლებლის წლიური ანგარიშები
- ✓ კათედრის წლიური ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 22 ივლისი, 2025 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე.ზაკარაია